საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ე. ჯ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.05.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 050/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატების გ. ფ.-ისა /სიითი №/ და მ. ნ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატების გ. ფ.-ისა და მ. ნ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 24 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატების გ. ფ.-ისა და მ. ნ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, წლების წინ მამამისმა, რევაზ ჯიქიამ შეიძინა კერძო სახლი თ. ბ.-ის და მისი ძმის, ო. ო.-საგან, თუმცა რადგან იმ ეტაპზე სახლი რეგისტრირებული იყო მათ გარდაცვლილ მამაზე და მემკვიდრეებს ჯერ სამკვიდრო არ ჰქონდათ მიღებული, ოფიციალურად, რევაზ ჯიქიას სახელზე სახლის რეგისტრაცია ვერ განხორციელდა და მხარეთა შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მამამისი გარდაიცვალა 2022 წლის 18 სექტემბერს და მან გადაწყვიტა აღნიშნული უძრავი ქონების რეგისტრაცია. ამის განსახორციელებლად, ის დაუკავშირდა გამყიდველებს - თ. ბ.-ს

და ო. ო.-ს, რათა მათ მიეღოთ სამკვიდრო და შემდეგ მომხდარიყო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2023 წლის 30 მარტს მან მიიღო სამოქალაქო სარჩელი, სადაც ეწერა, რომ თ. ბ. მას ბრალს სდებდა ქონების მითვისებაში და ითხოვდა აღნიშნული ქონების თავის სახელზე რეგისტრაციას. თ. ბ.-ის ინტერესებს წარმოადგენდნენ ადვოკატები - მ. ნ. და გ. ფ.. სარჩელის მიღების შემდეგ, ე. ჯ. დაუკავშირდა ო. ო.-ს, რომელმაც განმარტა, რომ სარჩელის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა და განაცხადა, რომ არც მან და არც თ. ბ.-მა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, მინდობილობა კი სულ სხვა მიზეზით გააფომეს ნოტარიუსთან. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებმა იმოქმედეს კლიენტთან შეუთანხმებლად და ითხოვს მათ დისციპლინირებას.

2. ადვოკატთა პოზიცია:

2.1 ადვოკატებმა გ. ფ.-მ და მ. ნ.-მ 2023 წლის 31 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითეს, რომ ისინი წარმოადგენენ კლიენტის - თ. ბ.-ის ინტერესებს, რასაც ადასტურებს მხარეთა შორის გაფორმებული მინდობილობა. მათი კლიენტი სასარჩელო წარმოების წესით ითხოვს კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას.

2.2 ადვოკატთა პოზიციით, ისინი ახორციელებენ კლიენტის ნებას და ე. ჯ.-ს პრეტენზიები მათ მიმართ უსაფუძვლოა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ფ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო; ადვოკატი მ. ნ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ე. ჯ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2023 წლის 24 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატების გ. ფ.-ისა და მ. ნ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 9.1(გ) მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორმა ე. ჯ.-მ გამოხატა პრეტენზია პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატების - გ. ფ.-ისა და მ. ნ.-ის მიმართ, იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატებმა თავიანთი კლიენტის ნებისგან დამოუკიდებლად, კლიენტის სახელით სასამართლოს მიმართეს სარჩელით ე. ჯ.-ს წინააღმდეგ.

5.2 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლით

დადგენილი დანაწესი. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: „ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“.

5.3 განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა - საჩივრის ავტორი არ არის ადვოკატი; ასევე, სახეზე არ არის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევები. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ საჩივრის ავტორის პრეტენზია შეაფასა დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში.

5.4 დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. კომისიის პრაქტიკით, აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პირს შესაძლოა გააჩნდეს პრეტენზია ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხარისხის შესაბამისად. კოლეგიამ, ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ადვოკატებს გ. ფ.-სა და მ. ნ.-ს პროფესიული პასუხისმგებლობა აქვს კლიენტის - თ. ბ.-ის მიმართ, რომელსაც ადვოკატთა მიმართ პრეტენზია არ აქვს. ადვოკატებმა კლიენტის სახელით და მისგან მინიჭებული მინდობილობის ფარგლებში, განახორციელეს საპროცესო მოქმედება - სასამართლოს მიმართეს სარჩელით. საჩივრის ავტორი, რომელიც წარმოადგენს ადვოკატთა კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს, მის მიერ აღნიშნული პრეტენზიის ნაწილში არაუფლებამოსილი პირია.

5.5 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 9.1(გ) მუხლის თანახმად, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“. არსებული რეგულაციის ფარგლებში, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატების გ. ფ.-ისა და მ. ნ.-ის მიმართ.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 9.1 (გ) მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №050/23 ადვოკატების გ. ფ.-ისა /სიითი №/ და მ. ნ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/